



აკადემიური საბჭო

დადგენილება № 38

04 სექტემბერი 2017 წ.

ქ. ზუგდიდი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განახლებული ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით მუდმივმოქმედი საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის №77/ნ ბრძანების, აკადემიური საბჭოს სხდომის 2017 წლის 04 სექტემბრის №17 ოქმის საფუძველზე,

**აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. შეიქმნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განახლებული ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით მუდმივმოქმედი საკოორდინაციო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

**თეონა ხუფენია** - რექტორი/პროფესორი ჯგუფის ხელმძღვანელი.

**ზაალ ქორთუა** - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მე-2 და მე-7 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.

**ბელა მოსია** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მე-2 და მე-3 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი



**ქეთევან ლატარია** - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი 1-ლი და მე-5 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

**ნინო მაქაცარია** - ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი მე-2 და მე-3 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

**ეკატერინე ანთია** - ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი მე-2 და მე-3 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

**ბადრი ნანეიშვილი** - ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი მე-2 და მე-3 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

**გელა სვირავა** - პროფესორი მე-3 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

**ქეთევან ლომია** - პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი მე-3 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

**ხათუნა გოგია** - სამეცნიერო განყოფილების უფროსი მე-6 და მე-7 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.

**რონა პერტია** - იურიდიული განყოფილების უფროსი მე-2 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

**ია სართანია** - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი მე-4 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

**მანანა სამუშია** - პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი მე-2 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

**დალი ბერანძე** - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი მე-5 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

**ნაზიბროლა ბარამია** - საფინანსო სამსახურის უფროსი მე-7 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

**ბესიკ პერტია** - საინფორმაციო-ტექნოლოგიების ცენტრის უფროსი მე-7 სტანდარტის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

2. დაევალოს საკოორდინაციო ჯგუფს, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის მიზნებისთვის ინსტიტუციური მომზადება ( სტრატეგიული გეგმის სტრუქტურის, სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი ეტაპების: ხედვის, მისიის, ღირებულებების, სტრატეგიული მიზნების, სამოქმედო გეგმის განსაზღვრა და შემუშავება, საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება - „SWOT“ ანალიზი), რესურსების ანალიზი განახლებული ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით და იხელმძღვანელონ სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით.
3. დაევალოს საკოორდინაციო ჯგუფს, თვითშეფასების კითხვარის მომზადება, შესაბამისი პროცესის უზრუნველყოფა.
4. დაევალოს საკოორდინაციო ჯგუფს, სტრატეგიული გეგმის/სამოქმედო გეგმის შესაბამისად გაწეული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა წლიური ანგარიშების მომზადების მიზნით საანგარიშო პერიოდში.
5. სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის მიზნებისთვის საკოორდინაციო ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ეტაპობრივი ანგარიშგება აკადემიურ



საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე დაევალოს ქეთევან ლატარიას - საკოორდინაციო ჯგუფის წევრს და გაფორმდეს ოქმებით.

6. დაევალოს რექტორის 2016 წლის 30 დეკემბრის №01-01/41 ბრძანებით შექმნილ ჯგუფს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით კვლევების რეგულარული ჩატარება.
7. დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს (ბელა მოსიას) კვლევის შედეგების ანალიზი და დასკვნის მომზადება შემდგომი რეაგირებისთვის.
8. რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განახლებული ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით სამუშაო ჯგუფები და შემადგენლობა საკოორდინაციო ჯგუფთან ეფექტური თანამშრომლობის მიზნით.
9. დაევალოს ნ.ფიფიას, გადასცეს დადგენილება ჯგუფის წევრებს, დაინტერესებულ პირებს.
10. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
11. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე ქ.თბილისი, უზნაძის ქ.№52.

თეონა ხუფენია

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



თ. ხუფენია